ადრესატი:

ბესიკ ტაბიძე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

წერილის ნომერი:**31-31223544**
თარიღი: **20/12/2022**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის“ მოსახლეობასთან

შეხვედრის ოქმი N 2

შეხვედრის ადგილი: ლანჩხუთი - ჩიბათის ადმინისტრაციული ერთეული, ზაზა სულაბერიძის სახელობის საჯარო სკოლის მიმდებარე სკვერი

შეხვედრის ჩატარების თარიღი: 20. 12. 2022 წელი. 13:30 საათი

შეხვედრას ესწრებოდნენ: საკრებულოს „იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის“ თავმჯდომარე - **გიორგი ხელაძე,** კომისიის წევრები: **დარეჯან ბურჭულაძე, მაკა მშვიდობაძე,** საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, მაჩხვარეთი, გვიმბალაური, ჩიბათის მაჟორიტარი დეპუტატი **გიორგი ჩახვაძე;** საკრებულოს „სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა“ კომისიის თავმჯდომარე, ქალაქ ლანჩხუთის მაჟორიტარი დეპუტატი **კარლო კვიტაიშვილი,** საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში: **ლაშა სარჯველაძე,** მოწვეული პირები.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიამ“ საქართველოს მთავრობის N 239 დადგენილების მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად კონსულტაცია გამართა ჩიბათში ადგილობრივ მოსახლეობასთან, ზაზა სულაბერიძის სახელობის ჩიბათის საჯარო სკოლის მიმდებარე სკვერისთვის „გურული მხედრების“ სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით.

კომისიის თავმჯდომარე **გიორგი ხელაძე** მიესალმა მოსახლეობას და მადლობა გადაუხადა მობრძანებისთვის. მან აღნიშნა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არის საკრებულოს მიმდინარე წლის 28 ივნისის განკარგულება, სხვა საკითხთან ერთად პროცედურები მოითხოვს ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრას და მათი აზრის გათვალისწინებას.

ბიძინა კუკულაძე ჩიბათის საჯარო სკოლის მათემატიკის პედაგოგი - მოხარულია თუ სკვერს მიენიჭება „გურული მხედრების“ სახელი. აღნიშნა: იმ ადამიანებმა ჩვენს კუთხეს, მხარეს ჯერ კიდევ 19-ე საუკუნეში ევროპაში, ამერიკაში გაუთქვეს სახელი. 17-20-მდე მოჯირითე უმაღლეს დონეზე ფლობდა საცხენოსნო სპორტის ილეთებს და ხელოვნების დონეზე ჰქონდათ აყვანილი. მათ სახელს მოფრთხილება, დაფასება და მომავალი თაობებისთვის გადაცემა ჭირდება.

სულხან პატარაია: აქ შეკრებილი ადამიანები უშუალოდ არიან ამ საქმის

ინიციატორები. დადიოდნენ მოსახლეობაში და აგროვებდნენ ხელწერებს. ოფიციალურად ჩიბათიდან 17 მოჯირითე იყო, არაოფიციალურად 23. ნებისმიერი ქართველი, მითუმეტეს ჩიბათელი, ამაყობს იმით, რომ 19 საუკუნეში ჯერ საფრანგეთში და მერე ამერიკაში გაიტანეს ჩვენი ქვეყნის სახელი მოჯირითეებმა. სახელის მინიჭების შემდეგ ვგეგმავთ მონუმენტის გაკეთებას, ესკიზებიც გვაქვს და ვიმედოვნებთ, მუნიციპალიტეტის მხარდაჭერას ამ საკითხში.

მოგეხსენებათ, ჩიბათში კარგი ტურისტული ლოკაცია გაკეთდა, გეგმაშია კიდევ ბევრი რამის გაკეთება და ეს ადგილი, სახელის მინიჭების შემდეგ თავის მხრივ ვიზიტორებისთვის საინტერესო იქნება და შეიძენს ფუნქციას.

ბეჟან ბერიძე - 150 ადამიანის ხელმოწერილი განცხადება არსებობს ამ საკითხთან დაკავშირებით. თუ საჭირო ინება მეტიც შეგვიძლია. ჩიბათის მოსახლეობა ერთსულოვანია ამ საქმეში.

ამირან ჩახვაძე - ამ ადამიანების შთამომავლები დღესაც ცხოვრობენ ჩიბათში. არამარტო ისინი, არამარტო ჩიბათი, მთელი გურია ამაყობს გურული ცხენოსნებით. იმ დროს შეუძლებელი შეძლეს. სკვერისთვის მათი სახელის მინიჭებით, მათი ხსოვნის საპატივსაცემოდ საშური და საშვილიშვილო საქმე გაკეთდება.

გიორგი ჩახვაძემ მოსახლეობას აღუთქვა გვერდით დგომა ამ და სხვა საკითხებთან დაკავშირებით.

გიორგი ხელაძემ კიდევ ერთხელ გადაუხადა მოსახლეობას მადლობა მობრძანებისთვის საინტერესო საუბრისთვის და აღნიშნა, რომ იმედი აქვს დროულად დასრულდება პროცედურები სკვერისთვის გურული მხედრების სახელის საბოლოოდ მინიჭებასთან დაკავშირებით.

პატივისცემით,

გიორგი ხელაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია-საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე